ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდესი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გიგზავნით ჩემს მიერ გაწეულ 2015 წლის სამუშაო ანგარიშს დანართის სახით, შესაბამისი რეაგირების მიზნით.

დანართი 2 (ორი) ფურცელი

საკრებულოს წევრი მალხაზ მჭედლიშვილი

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 3 ფურცელი
№ 10/18837 21.10.15

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

მალხაზ მჭედლიშვილის

2015 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 44-ე, 45-ე, 47-ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი"-ს მე-12 და მე-13 მუხლების თანახმად, საანგარიშო პერიოდში, როგორც საკრებულოს წევრმა მონაწილეობა მივიღე:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 39 და საკრებულოს 21 სხდომაში, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 42 და სარევიზიო კომისიის 13 სხდომაში;

ვმონაწილეობდი ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსათვის" მიერ გამართულ 16 სხდომაში;

მონაწილეობა მივიღე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 101 დადგენილებასა და საკრებულოს 380 განკარგულების მიღებაში;

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის ფარგლებში შევხვდი და მოვუსმინე სულ 181 მოქალაქეს; შევისწავლე და კომპეტენციის ფარგლებში რეაგირება მოვახდინე მოქალაქეთა 10 განცხადებაზე;

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის ფარგლებში მონაწილეობას ვიღებდი ქალაქ თბილისის ტერიტორიების განაშენიანებისა და გამოყენების

რეგულირების საკითხთა საბჭოს მუშაობაში, დავესწარი 46 კომისიის სხდომას. განხილულ იქნა 2284 საკითხი, აქედან თანხმობა გავეცი 859 მოთხოვნაზე;

ვმონაწილეობდი თანამედროვე ტექნოლოგიების შემოთავაზებისა და ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნ(ებ)ის მშენებლობა/მართვის უზრუნველსაყოფად ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარდგენილ განაცხადთა შემსწავლელი კომისიის შექმნისა და კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 18 თებერვლის N 07.04.155 განკარგულებით შექმნილი კომისიის 5 სხდომაში;

ასევე მონაწილეობა მივიღე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 3 სექტემბრის N05.06.34 განკარგულების შესაბამისად შექმნილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 3 სხდომაში.

დავესწარი სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი კომისიის 1 სხდომას; ამ საკითხის ფარგლებში, მქონდა ხშირი შეხვედრები საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა დაცვის წარმომადგენლებთან;

ამას გარდა, მონაწილეობას ვიღებდი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო- საატესტაციო კომისიის 4 სხდომაში.

საკრებულოს წევრი: მალხაზ მჭედლიშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრს

ბატონ მალხაზ მჭედლიშვილს

ბატონო მალხაზ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ანგარიში ძირითადად უნდა მოიცავდეს: საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას; საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაციას; ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაციას; ასევე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.

გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ ინფორმაცია ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენის ადგილის, თარიღისა და სხვა დამატებითი დეტალების შესახებ არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა, რადგან საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი გრაფიკის შედგენა. საკრებულოს წევრს თავისი სურვილის შესაბამისად უფლება აქვს გამოიყენოს საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა ანგარიშის წარსადგენად. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საჯაროდ ცხადდება საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, წარდგენიდან 10 დღის ვადაში. შესაბამისად, გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ შესაბამისი ანგარიში წარდგენიდან 3 დღის ვადაში წერილობითი სახით.

დანართის სახით გიგზავნით, საკრებულოს წევრის ანგარიშის ნიმუშს.

პატივისცემით,

საკრებულოს აპარატის უფროსი ელენე დუმბაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი
№ 10/18537
"12" ოქტომბერი 2015 წ.
ფურცლის რაოდენობა 3 ფურცელი
0105. ოფისუფლების მოედანი №2

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ----

2015 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია

- ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

- სხვა სახის ინფორმაცია

საკრებულოს წევრი

(სახელი; გვარი) *(ხელმოწერა)*